

ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N53 საცხოვრებელ სახლზე, მოქალაქე
გოჩა ჯანელიძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის
გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა შევჩენკოს ქუჩა N53 საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქე გოჩა ჯანელიძის განცხადება /2013 წლის 03.07 Nჯ-6997/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ სახლზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N53/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N53 საცხოვრებელ სახლზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გოჩა ჯანელიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, შევჩენკოს ქუჩა N53 საცხოვრებელ სახლზე /საერთო ფართობი 66,13 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,68 კვ.მ, დამხმარე ფართობი 30,45 კვ.მ, რომელიც განთავსებულია 182,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე/ მოქალაქე გოჩა ჯანელიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

კ.ლომიძე